

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი დამატებით აცხადებს ვაკანსიებს კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის სკოლის (MACS) კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის ფარგლებში მოწვეული ლექტორის პოზიციებზე შემდეგი მიმართულებებით:

1. პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია (Object-oriented programming)
2. Full Stack Development
3. თამაშების დეველოპმენტი
4. მანქანური ხედვა
5. გაძლიერებული ალგორითმები
6. ვებ პროგრამირება (JavaScript)
7. ხელოვნური ინტელექტი

* საგნების აღწერები შეგიძლიათ იხილოთ აქ:

http://freeuni.edu.ge/sites/default/files/u113/Course%20Descriptions_MACS_CS.pdf

სამუშაოს ძირითადი მოთხოვნები:

- ლექციებისა და სემინარების ჩატარება შესაბამის საგანში;
- კურსის სილაბუსის შემუშავება/განახლება საჭიროებისამებრ;
- სილაბუსით გათვალისწინებული დავალებებისა და სხვა აქტივობების მომზადება და შეფასება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი კომპიუტერული მეცნიერებების და/ან მათემატიკის მიმართულებით.
- კოდის წერის გამოცდილება.

საჭირო დოკუმენტაცია: CV.

საბუთების მიღების ბოლო ვადა არის 2020 წლის 25 თებერვლის ჩათვლით;

კონკურსი ჩატარდება 4 ეტაპად:

- რეზუმეების გადარჩევა და დაკავშირება შერჩეულ კანდიდატებთან;
- შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ ტესტირება;
- ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში კანდიდატებთან მოხდება გასაუბრება;
- წარმატებულმა კანდიდატებმა უნდა ჩაატარონ საჩვენებელი ლექცია.

გთხოვთ, "Subject" ველში მიუთითოთ პოზიციის და იმ საგნ(ებ)ის დასახელება, რომელზედაც შემოგაქვთ განაცხადი, მაგალითად: მოწვეული ლექტორი - თამაშების დეველოპმენტი.

საკონტაქტო ინფორმაცია: ვებ-გვერდი - www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი - vacancy@freeuni.edu.ge